**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1893



## სასწავლებელი და პანსიონი
## ჯორჯიკიასი
(ქუთაისი)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(5—1)


### დასაწყისი დიდის საქმისა

—

კახეთის თავად-აზნაურობამ სამეურნეო კაპიტალის დაარსება რომ დაადგინა ამ ზაფხულს, ეს ამბავი, რასაკვირველია, ეხსოვნება ჩვენს მკითხველს. ეხლა გვატყობინებენ კახეთიდან, რომ ამას წინად სოფ. შილდაში თავად-აზნაურთა კიდეც დაუწყიათ სამეურნეო კაპიტალის მოკრება. თაობა ამ საქმისა მიუღია თავადს ნიკოლოოზ ჩოლოყაშვილს, თელავის მაზრის გამგეს, რომელიც აპირობს თურმე კახეთის დავლას და მოგროვებას თითოეულ მოსახლეზედ ხვედრის ფულისას. „ივერიაში“ მრავალჯერ იყო გამოთქმული, თუ როგორი სიკეთე იქმნება საზოგადოდ ჩვენის მეურნეობისთვის და კერძოდ აზნაურობისათვის სამეურნეო კაპიტალის დაარსება; ამ მხრით დღეს ჩვენ არას დავსძენთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელის დროის ყველა საზოგადო საქმეებზედ საზოგადოების გაფაციცებული ყურადღება და მეცადინეობა დიდ ნუგეშსა და იმედს გვისახავს გულში.

დაიბადება რამე კეთილი აზრი თუ არა, მაშინვე თავისუფალი განმახორციელებელიც ამ აზრისა მყისვე სჩნდება და გუშინდელი განზრახვა საქმედ იქცევა.

აქ აღარ მართლდება ის სიტყვები, რომ „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“; აქ, სარწმუნოებას საქმეც თან ფეხ-დ-ფეხ მოსდევს და საგულისხმოა, რომ ამგვარის ხალისით და სითბილით დაწყებული საქმეები კარგად წავა.

რაკი კახეთის თავად-აზნაურობამ თავის სურვილითა და ნებით გადაწყვიტა ეს საშვილიშვილო საქმე, ჩვენ მცირეოდენი ეჭვიც არ შეგვხვლია იმაზედ, რომ საზოგადოების განაჩენი სისრულეში მოვიდოდა. მაგრამ ეხლა, როდესაც თავად ნ. ჩოლოყაშვილს თითონ უკისრია დადგენილის სამეურნეო კაპიტალის შეგროვება, ეხლა კიდევ უფრო გვჯერა, რომ კეთილი განზრახვა კახეთის თავად-აზნაურობისა მალე დაგვირგვინდება და თავადი ნ. ჩოლოყაშვილი, უთუოდ, შეასრულებს დაწყებულს ძვირფასს საქმეს.

ქვეყნის ერთგულება და სამსახური დიდი რამ არის, და არაოდეს არ უნდა იქმნას დავიწყებულ, რომ ყოველი კარძო პატივი და ჯილდო წარმავალია; ხანგრძლივია და დასაფასებელი მხოლოდ ხსოვნა ერისა, პატივისცემა და სიყვარული მისი.

დღესაც ზეპირ გადმოცემა და პოეზია ხალხისა დიდების და სახელოვნების შარავანდედით ამკობს იმ ქვეყნის მოღვაწეთა, რომელთაც კეთილის საქმეებით სამშობლოს ერთგულებით და სამსახურით აღუნიშნავთ თავისი ცხოვრება. გადის დრო, წელიწადები, საუკუნოები, მაგრამ ხალხი მაინც არ ივიწყებს თავის მეგობართა და მშვენიერის სასიმღერო ლექსით იხსენებს მათ.

მაგიერად, რა მოკლე და მცირეა ხსოვნა მეორე გუნდის კაცთა, რომელნიც სიცოცხლეში ცნობილი და პატივცემული არიან, მაგრამ ერის წინაშე-კი არავითარი ღვაწლი და სამსახური არ მიუძღვისთ? მოკვდა კაცი, განვლო ათმა, თუ ოცმა წელმა და ხსენებაც მისი წარიხოცა: „და ვერასფერი ვერ მოაგონებს მის აქ ყოფნასა“.

კეთილი მაგალითი ტფილისის გუბერნატორისა, თავადის შარვაშიძისა, რომ დაარსებულ იქმნას ტფილისის გუბერნიის გლეხთათვის სამეურნეო კაპიტალი, როგორც გვესმის, მიღებულ იქმნება ქუთაისის გუბერნიაშიც, რადგანაც ქუთაისის გუბერნატორი სრულიად თანაუგრძნობს ამ მშვენიერსა და ხალხისთვის შეუდარებელს სასარგებლო საქმეს.

ამასთან უნდა ვიგულისხმოთ, რომ დანარჩენი ქართველი თავად-აზნაურობაც, როგორც აღმოსავლეთის საქართველოსი, ისე დასავლეთისა, მიიღებს კახეთის გონიერს მაგალითს— დააარსებს ყოველგან სამეურნეო კაპიტალს.

ჩვენ კიდევ ხშირად დავუბრუნდებით ამ საგანს, რადგანაც დარწმუნებული ვართ, ჩვენის ქვეყნის მეურნეობის განკარგება საუკეთესო და საფუძვლიანი საშვალებათაგანია ქართველის ერის ბედნიერებისათვის. და ამ გვარი გზა წარმატებისა ხომ თითონ მრავალ ფეროვანმა საქართველოს მდიდარმა ბუნებამ აღუნიშნა ქართველს კაცს!

მეველე

—◆◆—

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს სასარგებლოდ უცვნია, რომ მოსწავლენი ქალაქ გარედ გაასეირნონ ხოლმე, ერთის გამოცდილის და განვითარებულის ზედამხედველის მეთაურობით, რომელიც სეირნობის დროს აუხსნის მოსწავლეთა ყოველ საყურადღებო საგანს, გზაში ნახულს. ამისათვის ბ-ნ მზრუნველს მიუწერია სასწავლებლების დირექტორთა და გამგეთათვის, კარგად მოიაზრეთ, როგორ უნდა მოეწყოს სეირნობის საქმე, მეტად სასარგებლო მოსწავლეთა აღზრდა-განვითარებისათვისაო.

*** ტფილისის მესამე კლასიკურ გიმნაზიაში წელს ეგზამენები მოხდება: დაბალ მოსამზადებელ კლასებში მისაღებად—24 აგვისტოს; I—VII კლასებში—25, 26 და 27. უკეთუ შემდეგ რომელსამე კლასში თავისუფალი ვაკანსია აღმოჩნდება, ეგზამენები ამ კლასებში მისაღებად იქმნება 28 და 31 აგვისტოს.

*** 29 ივლისს ქალაქის სასანიტარო ინსპექტორმა სტეფანოვმა სხვა ექიმებითურთ დაათვალიერა სადაბლოები და საპნის ქარხნები მეექვსე საპოლიციო ნაწილში. კომისია იმ აზრს დაადგა, რომ სასანიტარო მხრივ ეს ქარხნები მეტად ცუდს ყოფაში არიან და საჭიროა ან სულ დაკეტილ იქმნან, ან ქალაქ გარედ გაიტანონო.

## ფელეტონი

—

### საიდუმლოა?

(ნამდვილი ამბავი)

ერთ საღამოს ჩემ ოთახში მე და პეტრე მარტოკანი ვისხედით. მე ახალ გაზეთს ვკითხულობდი და პეტრე თუთუნს სწევდა და ყურს მიგდებდა. გაზეთის კითხვა, რომ გავათავე, შევხედე პეტრეს, პეტრე თავ-ჩაღუნული მაგიდაზე იდაყვ-დაყრდომილი იყო.

—ჰა! პეტრე, რას ჩაფიქრებულხარ?

— ისე! დაღონებით მიპასუხა.

— მაინც! კაცო, რამდენჯერმე შეგამჩნიე დაღონება! არა გრცხვენიან, მეც მიმალავ რასმე? განა მეგობართ შორის რა უნდა იყოს დამალული?

— ჰე! ჩემო ძმაო, რა უნდა გითხრა! განა უსინიდისო ავაზაკის ამბავი სასიამოვნო მოსასმენია?

— რასა ჰბოდავ! როგორ თუ უსინიდისო ავაზაკი? მერე ვინ არის?

— ვინა? ვინა და მე! დიაღ, მე ვარ უსინიდისო,—არა, უფრო მეტი?

— განა ისეთი რამ მოახდინე? კაცი მოჰკალ? იქურდე თუ რა, რომ ასე მკაცრად სჯი შენს თავს...

— არა, მე მაგ გვარი საქმე არ ჩამიდენია, მაგრამ ის, რაც მე შემემთხვა, უფრო ძლიერი ავაზაკობაა! დამალვა მეტი შეუძლებელია! იმედი მაქვს, პატიოსან სიტყვას მომცემ, რომ, რასაც გიამბობ, ჩვენ შორის საიდუმლოდ დარჩება.

მე სიტყვა მივეცი. პეტრემ დაიწყო:

— შენ იცი თუ რაც არის შეყვარება? შეყვარება ისე სადღე-ხვალიოდ-კი არა, არამედ წრფელის გულით, მკვიდრი, უცვლელი შეყვარება! ამ ათის წლის წინად უხინჯო წმინდა გრძნობამ შეიპყრო ჩემი გული და მთელი ჩემი არსება... სისხლი დუღდა... გული მყუდროებას ელტოდა, და ჩემდა საუბედუროდ, ნიშანი მეტად უმართებულო მომივიდა. შენც იცი, რომ მე ჯერ ათი წლისა არ ვიყავ, რომ მშობლები დამეხოცა. ჩემი პატრონობა და აღზრდა იტვირთა მამიჩემის მეგობარმა. ჩემმა ახალმა პატრონმა საშვალო სასწავლებელიც-კი არ დამამთავრებინა. ჯერ ოცის წლისა არ ვიყავ, რომ სასწავლებლიდამ გამომიყვანა და ჩვენ ქ. თ... სამართველოში მიმაღებინა მწერლად. თ—ში სულ სამი წელიწადი დავრჩი. ჩემმა მფარველმა მიიღო მაღალი თანამდებობა და დედა-ქალაქში თავისთან სამსახურში გადამიყვანა. უცებ კარგი ჯამაგირის მქონე „ჩინოვნიკი“ გავხდი. ტფილისში ჩასვლის უმალ, რასაკვირველია, ჩემი მფარველი ვნახე. თითონ მოხუცმა (ორმოც-დათვრამეტის წლისა იყო) შვილისავით მიმიღო. გამაცნო თავისი ოჯახი და თავისსავე სახლში ერთი ოთახი მომცა საცხოვრებლად. ჩემს მფარველს სამი პატარა შვილი ჰყავდა. ცოლიკი მეორე იყო... ამიტომ ცოლ-ქმარნი მეტად ირჩეოდნენ. ქმარი ჭაღარაშერთული, ცოლი-კი ახალგაზდა, სულ 25 წლისა. ჩემმა მფარველმა გამაცნო თავისი ცოლი მარიამი. მარიამმა—სიხარულით გამომიწოდა ხელი და თან მითხრა:—სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! იმედი მაქვს, ჩვენის სახლის მეგობარი იქნებით, როგორც მამა თქვენი და ჩემი ქმარი ყოფილან.“ ობოლსა და ობლობაში აღზრდილისათვის ამ გვარი დახვედრა და ალერსი, ვერ წარმოიდგენ, თუ რა საჩუქარს შეადგენს.

ორი კვირა დავყავი ჩემ მფარველ,—დღეს ჩემ უფროსის სახლში. ჯამაგირი კარგი მქონდა და ცალკე ცხოვრება ვარჩიე. თუმცა უნდა გითხრა, ისე შემივარდა გული ჩემის უფროსის ოჯახზე და თვით უფროსის ოჯახიც ისე შემეჩვია, რომ მეძნელებოდა გაშორება. ცოლ-ქმარმა ბევრი მიშალეს, ცალკე ნუ დასდგებიო, მაგრამ მე არ დავიშალე. ბოლოს ნება მომცეს იმ პირობით, რომ ყოველ საღამოს იმათთან გამეტარებინა დრო.

პირობისამებრ, ძნელად რომ საღამო სადმე გამეტარებინა. ადრე მივდიოდი ჩემ უფროსთან. მარიამი ყოველთვის მარტო დამხვდებოდა ხოლმე. ჩემ უფროსის მოსვლამდე მე და მარიამი ან ვლაპარაკობდით, ან წიგნს ვკითხულობდით. მოვიდოდა უფროსი, ჩაის დავლევდით ჲ ჩაის შემდეგ დღიურ გაზეთების კითხვას შევუდგებოდით ხოლმე. ბავშვებს ეძინად, და თვით ჩემი უფროსიც იქვე სავარძელში მიიძინებდა ხოლმე. მე ჩუმად წამოვდგებოდი, გამოვეთხოვებოდი მარიამს და წავიდოდი შინ. ხშირად მარიამი კიბემდის გამომაცილებდა ხოლმე.

ამ გვარად ვატარებდი საღამოს და ისე მივეჩვიე, რომ თუ თეატრში, ან თუ სხვაგან სადმე წავსულიყავ დროს გასატარებლად, რაღაც ნაირად დაღონებული ვიყავ. მერე იცი, რა შედეგი მოჰყვა ამ საღამოებს? ის, ჩემო მეგობარო, რომ ჩემდა შეუმჩნევლად—უნებლიედ შემიყვარდა ჩემი მფარველ—პატრონის ჲ უფროსის ცოლი.. როგორც უნებლიედ დაიბადა ეს გრძნობა, ისე უნებლიედვე გამომჟღავნდა. ერთ საღამოს ჩვეულებრივ მივედი ჩემ უფროსისას. მარიამი მარტო დამხვდა. მცირე ლაპარაკის შემდეგ წინა დღის გაუთავებელი წიგნის კითხვა დავიწყე... კითხვის დროს შევხედე ჩემს გვერდით მჯდომ მარიამს. მარიამი რაღაც გულის მწველ ნაზად მილულებულ თვალებით მიყურებდა. მე გავწითლდი და უცებ გულს სისხლი მომაწვა. დავკარგე დავთრები. წიგნი ხელიდამ გამივარდა და მარიამის ხელს დავუწყე აღზნებული კოცნა. მარიამმა ხელი გამომართვა და ღიმილით მითხრა:—რა კეთილი ყმაწვილი ხარ, ჩემო მეგობარო!... ეს საღამო იყო და დავთრებიც ამერია! ხელები მიცახცახებდა. წიგნის ფურცელ[illegible] აზრი, ასოები დომხალივით აირი[illegible]... მე საჩქაროდ წამოვედი შინ... მინდოდა მარტოდ-მარტოს გამ[illegible]აზრება, ასე უცებ როგორ შემიპ[illegible]რო ნეტარმა გრძნობამ. ეს პირველ[illegible] სიყვარული იყო და პირველ სიყვარულის

*** კავკავის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი გოლუბევი სისხლის სამართალშია მიცემული იმის გამო, რომ მრავალ გვარი უკანონობა ჩაუდენია: მინიჭებულ უფლებას გადასულა, არა ღონის-ძიება არ მიუღია იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი პირდაპირ ავალებს, სახელმწიფო ფული დაუხარჯავს და დაუსაკუთრებია, კერძო ფული არ გაუგზავნია თავის დროს, მოხელეებისთვის ჯამაგირი არ უძლევია, შესავალი ან სრულიად არა, ან ნაკლები უწერია დავთარში, ყალბი ქაღალდები შეუდგენია, ცრუ მოწმები მიუყვანია და ცრუ მოწმეთა ჩვენება უწერია, ტყუილი ოქმები უდგენია სხვის სახელით, და სხ.

*** 28 ივლისს კავკავიდგან ჩამოვიდა ტფილისს ველოსიპედით ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დქევიცა-კოვაჩი. გზაში დაჰყო სულ 55 საათ ნახევარი. აქედგან რომ გამოვაკლოთ ორი ღამე და დასვენების დრო სადგურებზედ, დარჩება 24 საათი და 56 წამი, რომელიც საკუთრად მგზავრობისათვის მოუხმარებია.

*** ამ ბოლო დროს ტფილისში რაღაც ავადმყოფობა გაჩნდა. ჯერ ნახევარი სახე უსივდება ავადმყოფს, მერე მეორე ნახევარზედაც გადადის და ისე აუმსგავსებს ადამიანს, რომ მისი ცნობაც ძნელია. საჭმელს ვერა ჰღეჭავს და წვენის ყლაპაც უჭირს. ეს ავადმყოფობა გაციების შედეგიაო, ამბობენ ექიმები.

ნავთლუღში კიდევ ძალიან გახშირდა ბავშვის ავად-მყოფობა ფაღარათობისაგან. ავადმყოფი ზეზეულად დნება და მალე კვდება. საჭიროა გამგეობამ ყურადღება მიაქციოს და ექიმ-წამალი დროზედ გაუჩინოს.

*** ქ. მოსკოვში 27 ივლისს ხოლერით ავად იყო 106 კაცი. 22 და 23-ს ავად გახდა კიდევ 20, მორჩა 4, გარდაიცვალა 9, დარჩა 113 ავადმყოფი.

*** „Нов. Обозр“-ს აუწყებს საკუთარი კორრესპონდენტი, რომ ეჩმიაძინის დელეგაცია რავდენსამე დღეს 20 ივლისამდე გაჩერებული ყოფილა ალექსანდრიაში იმის გამო, რომ სტამბოლის საბაჟოს არ გაუტარებია უბაჟოდ აქედგან წაღებული საეკკლესიო ნივთეულობა: პატრიარქის შესამოსი, მიტრა და კვერთხი, ვიდრე დელეგაცია არ წარადგენდა დამტკიცებას რუსეთის საელჩოსაგან, რომ ყოველივე ეს მართლა საეკკლესიო ნივთეულობაა. როგორც ვიცით, დელეგაცია მისულა უკვე იერუსალემს და 25 ივლისს მის უწმინდესობისათვის მიურთმევია საპატრიარქო კვერთხი.

კათალიკოზის იერუსალემიდგან გამოსვლის დღედ დანიშნულია 31 ივლისი.

*** Тиф. Лист. თანამშრომელი ი. ხაჩატუროვი, რომელიც იერუსალემს გაემგზავრა და იქიდგან სომეხთა პატრიარქ-კათალიკოზს გამოჰყვება, იწერება, სხვათა შორის, სტამბოლიდგან:

„სტამბოლს ჩვენთვის (?) განსაკუთრებული ინტერესი აქვს. მე ცალკე წერილს ვუძღვნი აქაურ მოღვაწეთ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, ამიერ-კავკასიელთათვის. ეხლა მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ მე, აქაურ სომეხ-მოღვაწეთა მნახველს, გული გამიტყდა—ისინი მხოლოდ თავიანთ სარგებლობისათვის იღვწიან და საზოგადო საქმე-კი არ ადარდებთ. თავისი მატერიალური ინტერესი ურჩევნიათ ყოველივეს; თავის კეთილ-დღეობისათვის ისინი ყოველნაირ მსხვერპლს შეიწირავენ.“

*** ივლისის 29 რეუტის ქუჩაზე, ვალტერის სახლთან, იპოვნეს ერთის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამას წინად კავკავის მცხოვრების ქალის სვერიუგოვის დამჭრელი გრიგოლ ზურაბოვი პოლიციამ შეიპყრო 29 ამ თვისას.

## ქართულის წერის შესახებ.

(დასასრული *)

ჩემის შეხედულობით, პირველ დაწყებისათანავე სკოლებში უნდა ის ხელი შემოვიღოთ, რომელსაც ვხმარობთ წერაში. მით უმეტეს შესაძლოა ეს ჩვენს ენაში, რომ თითქმის რამდენსამე ასოს მეტს ყველას იგივე ფორმა აქვს, რაც სტამბურს ხელსა. რუსულში, მაგალითად, სტამბურსა და ნუსხურში ისეთივე განსხვავებაა, რამდენიც გურულსა და ევროპიულს ტანისამოსში,—მაგრამ ისინიც-კი პირდაპირ ნუსხურით იწყებენ. ქართულს ენაში მხოლოდ ბ, ო, რ, ბ, ლ და ჯ ცოტათი განსხვავდებიან სტამბურისაგან. კი, მართალია, პირველ დაწყებისას ბავშვმა უნდა შეითვისოს ორ ნაირი ფორმის ასოები, ერთისა და იმავე ხმის გამომსახველი. მაგრამ სამაგიეროდ, ბავშვს ავაშორებთ იმ შრომას, რასაც ეხლა ახმარებენ სკოლაში, სანამ ნუსხურზედ გადავიდოდნენ (რომ უკეთა ვსთქვათ, არაოდეს-კი არ გადადიან).

ადრე თუ გვიან, ხომ უნდა შეითვისონ, რომ რ, ო, ბ და ლ, ჯ სხვა ნაირადაც იწერება. ბარემ პირველადვე გავაცნოთ, ვითომ ამითი რა შრომა გვემატება? მხოლოდ განსხვავება ესაა, რომ, რასაც ახლა ორის და სამის წლის შემდეგ სწავლობენ, მაშინ პირველ წელშივე უნდა ვასწავლოთ.

ჩვენის წერის პირველ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ასეთი ცოტა განსხვავებაა ბეჭდვითსა და ხელ-ნაწერს შორის. სამაგიეროდ ჩვენი ხელი არის სრულიად განსხვავებული ევროპიულის წერისაგან. ჩვენი ხელია მრგვალი და კალმის დაჭირებას არ იფერებს; წერა უხდება სწორი, ხვეული და არა დაფერდებული, ირიბი. პირველი თვისება, ე. ი. სიმრგვალე ხელისა, რასაკვირველია, აძნელებს წერას ერთი-ორად. რაც შეეხება სწორე წერას, ეს მეტად სანატრელია პედაგოგიურის მხრით, იმიტომ რომ თვალებიც სწორე ჰხედვენ წერის დროს, სხეულის კორპუსიც სწორეა გაჩერებული; კითხვის დროსაც ადვილად წაიკითხბის. სამაგიეროდ, რამდენადაც პრაქტიკით ვიცი, შემჩნეული მაქვს, რომ ბავშვი, როცა სწორედ ზის და სწორე სწერს, ჩქარა წერა არ შეუძლია, რადგანაც ნიდაყვის ერთს ადგილას გაჩერება და მარტო ხელის ჩონჩხის მოძრაობა არ ხერხდება. ამ სახით სტრიქონის სწორე გაყვანაც არ შეიძლება. ამ სისტემით ან უნდა ნიდაყვი (მარჯვენა ხელისა) თან-დათან აჩოჩოს მარჯვნივ, ან და რვეული გასწიოს მარცხენა ხელით მარცხნივ.

ავიღოთ დახრილი ხელი. ის თუმცა ადვილია საწერად, მაგრამ მაგიერად უფრო შორდება ჩვენს ხელს და ჰკარგავს ქართულის ასოების შნოს და ხასიათს. აი, ეს გვაიძულებს ყველას, რომ ისევ სწორის ხელითა ვსწეროთ და არა დახრილით.

ძველს ხელ-ნაწერებში ყველგან მოინახება ასოები: ო, ჯ, ბ, რ და ლ ნუსხურის ფორმით დაწერილი. ამისათვის მე ჩემს დედანში სრულიად ნამეტანად ჩავთვალე შემეტანა ო, ჯ, ბ, რ და ლ, სტამბურად დაწერილი, რომლებსაც არავინ ჩვენგანი არ ხმარობს დღეს წერის დროს.

რაიცა შეეხება ბადეს, ჩემის აზრით ოთხი მწოლარე ხაზი სრულიად საკმარისია, რომ ბავშვმა რიგიანის ფორმის ასოები დასწეროს. თითოეულის სტრიქონის გაშორება არ ვსცანი საჭიროდ. მართალია, ჩვენი ასოები უმეტეს ნაწილად ხაზს ზემოთ და ქვემოთ სცილდებიან (нестрочныя), მაგრამ წერის დროს მაინც არ ირევა და არც საკითხია ძნელი. შეიძლება მიეკრან ასოები ერთმანეთს, მაგრამ ესეთი შემთხვევა წერაში ძვირად ხდება. თუ რამდენად მართალია ეს ჩემი სიტყვები, ადვილად შეამოწმებთ, როდესაც განიხილავთ ჩემს დედანს.

პირველ გვარის ბადეს ვაკმარე მხოლოდ ოთხი მწოლარე ხაზი შემდეგის მიზეზით: ერთი რომ ფეხი ე, უ, ვ, ყ და სხვა, ამ გვარ ასოებისა შემორგვალების დროს ადიან მესამე და მეოთხე მწოლარე ხაზების შუამდის (ხაზებს ზევიდან ვთვლი). თუ მეტზედ ავიყვანეთ, მაშინ დიდი მეცელი დარჩებათ და უშნონი გამოდიან. იგივე ითქმის იმ ასოების შესახებაც, რომელნიც ორ-ხაზს ზევით სცილდებიან, მაგ.: მ, შ, ჩ, ზ. ეს ასოები უნდა დავიწყოთ პირველსა და მეორე ხაზებს შუა. ამისი გაგება ყმაწვილებისთვის სრულიადაც არაა ძნელი. ყოველმა ბავშვმა იცის, თუ რა ნაწილია ნახევარი; ანუ როგორ გავყოთ ასო ასოსგან. პირველადვე მასწავლებელი აუხსნის ამ ასოების ასეთ გვარად წესს და ისინი ყოველთვის რიგიანად დასწერენ. ძვირად თუ ცოტა გადაამეტონ და ან დააკლონ ნახევარს. ამასთანავე ყმაწვილები თვალდათვალ მანძილის გაზომვასაც ეჩვევიან.

პირველსა და მეორე წელში მსხვილი ხელი მეტად საჭიროდ მიმაჩნია. ნორჩი, შეუჩვევარი თვალები ყმაწვილებისა სრულიად არ არის დაჩვეული გაარჩიოს ისეთი პაწია სახეები, როგორიც ასოებს აქვს. ამისთვის დიდ და მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს მათ, ვინც პირველ დასაწყის სახელ-მძღვანელოებს ადგენ, წიგნებს თუ დედნებს, და პატარა ასოებით-კი ჰბეჭდავს.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ევროპიულის წესის გავლენის ქვეშ, იგი მიგვაჩნია იდეალად, და ყოველი ჩვენგანი ცდილობს ჩვენი ხელიც მას მიამსგავსოს. ვცდილობთ, რომ წერის დროსაც ისე დავსხდეთ, კალამიც ისე დავიჭიროთ და ისე დავაჭიროთ, ქაღალდს როგორც ევროპიულის წერის დროს. ყოველივე ეს დიდ შეცდომილებად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ხელი არის სრულიად სხვა ხელი, მინამ ევროპიული. ჩვენი ხელი, როგორც ზემოდ ვსთქვი, მრგვალია, ევროპიული კუთხედებიანი და უმეტეს ნაწილად სწორ ხაზებიანი. ჩვენი ხელია სწორი, მათი დაფერდებული, ჩვენს ხელს სრულიად არ შეჰფერის იმდენად და იმ გვარად კალმის დაჭერა, რაც ევროპიულს ხელს მეტად ამ-

(* იხ. «ივერია», № 161.

ალმგზნები. მარიამი შეიქნა ჩემი სალოცველ-სათაყვანებელი. უნდა-კი ვსთქვა, რომ სილამაზით მარიამი ლამაზი არ იყო. ჰო! ეშხი-კი არ აკლდა ღვთის წინაშე. ასე იყო თუ ისე, მე შემიყვარდა. მაგრამ პირველში სულაც არა ვფიქრობდი, მარიამსაც ვუყვარვარ თუ არა და ვცდილობდი ჩემსავე გულში წმინდად შემენახა ჩემთვის ახალი და მეტისმეტი ტკბილი ნეტარი გრძნობა. მაგრამ განა დიდხანს შეიძლებს ადამიანი გაუმაგრდეს სიყვარულს... ყოველ სიტყვას, ყოველ ჩემს მოძრაობას, აჩრდილსავით თანა სდევდა ეს გრძნობა. მარიამი თუმცა ცდილობდა არ შეემჩნეინებინა ჩემთვის, თავისი მიხვედრილობა, მაგრამ იმანაც დაჰკარგა მოთმინება. მარიამის ქცევა და ჩემდამი ზრუნვა ხშირად იმ გვარი იყო ხოლმე, რომ მე ურთიერთულის თანაგრძნობის ეჭვი აღარა მქონდა. ბედნიერად ვრაცხდი ჩემ თავს... არა ერთი ღამე გამითენებია უძილოდ... მე ჩემი თავი ბედნიერი მეგონა... მთლად გადავხალისდი. წიგნის კითხვაც, ლაპარაკიც სულ სხვა იყო ეხლა მე და მარიამისთვის. არა იშვიათად მივგინებებია თავი კითხვისათვის და კარგა ხანს ჩუმად დავმტკბარვართ ურთიერთის ცქერით. მეც და მარიამსაც გვტანჯავდა ეს სიჩუმე... ჩემთვის ეჭვ გარეშე იყო, რომ მარიამი ელოდა ერთ სიტყვას, რომ ტანჯვა-გენია სიტკბო-ნეტარებად გადაგვქცეოდა. დიაღ, ერთი სიტყვა იყო საჭირო და ეს სიტყვა მე არ უთხარი და იცი თუ რადა? იმიტომ რომ ის სიტყვა ოჯახის დედას—პატიოსან დედაკაცს ჩემ საყვარლად გაჰხდიდა. განა მარიამის ქმრის ჩემზე ზრუნვისა და შემწეობა-პატრონობისათვის, ასე უნდა გადამეხადნა? განა შემეძლო მე ამეტანა ის აზრი, რომ მარიამი ერთსა და იმავე დროს ჩემიც და ჩემის უფროსისაც უნდა ყოფილიყო? განა მე შემეძლო სინიდის დაუქენჯნავად იმის ქმრის შემწეობა-მფარველობით მესარგებლნა? ესეც რომ არ ყოფილიყო, განა ჩვენ დამოკიდებულებას რა შედეგი მოჰყვებოდა! ტკბილის ოჯახის არევა—სამარცხვინო ჩირქი... განა მე შემეძლო ამის დაფარვა? თუმცა საზოგადოება, ქვეყანა მე არაფერში გამამტყუნებდა, მაგრამ საცოცხლებელი-ღა ვიყავ, რომ მარიამისთვის პატიოსნების სახელი წამერთო და სამაგიეროდ უსინიდისო ჩირქი მომეცხო? არა! მე ამას ვერ ავიტანდი... და ვიყავ ენით გამოუთქმელ ტანჯვაში. ჩემ ბედზე სამსახურის გამო მთავრობამ სოფლად გამგზავნა. შენ ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებით და სიხარულით გავემგზავრე სოფლისაკენ... მარტო ის აზრი, რომ მარიამისადმი გრძნობა სინიდისის ფარგალს არ გადასცდა, მამხნევებდა და მასულდგმულებდა. წარმოიდგიმე ჩემი სიკერპე, წასვლის დროს მარიამს არც-კი გამოვთხოვებივარ? მთელი ზაფხული სოფლად ვიყავ. შემოდგომაზედ ისევ ტფილისში დავბრუნდი. ჩემი უმფროსი, სამსახურის გამო, სხვაგან წასულიყო. სახლობა-კი ტფილისში დაეტოვებინა. სოფელში ყოფნამ თითქო გამკურნა... თუმცა მარიამი არ დამვიწყებია, მაგრამ გრძნობის ღელვა-ფორიაქობა დაცხრა, დადინჯდა და საქმის ვითარებას უფრო ნათელის თვალით დავუწყე ცქერა. აი ამიტომ ტფილისში მისვლის უმალ ახალი სადგომი ვიქირავე და ნაცნობ-მეგობრებში დავიწყე გართობა.

ერთის კვირის ჩამოსული ვიყავ სოფლიდამ, მშვენიერი საღამო იყო და ბაღში გაველ სასეირნოდ. უცებ უკანიდამ მომესმა—ძია! ძია! მივიხედე... მარიამის ხუთის წლის ქალი, ნუცა, სირბილით მომდევდა. მე შევდექ, ხელში ავიყვანე ბავშვი. ბავშვმა კისერზე ხელები მომხვია და კოცნა დამიწყო.

უნებლიედ მეც ვკოცნიდი ბავშვს. ამ ალერსში ვიყავით მე და ნუცა, როცა მარიამი მოგვიახლოვდა. მარიამი დავინახე თუ არა, ბავშვით ხელში გავეშურე იმისაკენ. მარიამმა ცივად მომცა ხელი და შუბლ-შეკრულმა მითხრა.

— დასვით ბავშვი და შინ გამაცილეთ. მინდოდა მეთქო რამე, მაგრამ, დასწყევლო ღმერთმა, რაღაც დამემართა. ენა დამიჩლუნგდა, დავდუნდი მთლად და მხრებ დამტვრეული ბატსავით უსიტყვოდ ავედევნე მარიამს...

განა რა სათქმელია, რაც მოხდა ჩვენ შორის, სახლში რომ მივედით. მე მეორე, დილით გამოვეთხოვე მარიამს და საჩქაროდ მოველი შინ. აქ დავწერე სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი, გადავეცი, სადაც საჭირო იყო, და იმ დღესვე გამოვიქე ქალაქიდამ, რადგან მეშინოდა ჩემ უფროსს, მარიამის ქმარს, არ მოესწრო... გამოვიქე ტფილისიდამ და, როგორც იცი, მას აქეთ ჩვენის ქვეყნის არე-მარეში დავდივარ! ყველგან შემიძლიან ცხოვრება, მხოლოდ ტფილისში-კი არა! არა!

აბა შენ თითონ მითხარ, ამაზე უსვინიდისო ავაზაკობა-ღა შეიძლება?..

პეტრე გაჩუმდა და გაშტერებით შემომცქეროდა.

მე გავიხარხარე! და სიცილით ვუთხარ!..

— ჩემო პეტრე! მე უფრო მაგარის ხასიათის კაცი მეგონე! განა მაგის გულისთვის დაჰკარგე ალაგი და სამსახური? აბა მიიხედ-მოიხედე, რა ხდება ჩვენ ქვეყანაში! გავნათლდით, პეტრე, გავნათლდით, რა დროს ეგენია! სწორედ რომ მეცოდები, ჩემო პეტრე.

პეტრე გაბრაზებული ზეზე წამოხტა.

—შენც მაგას მეუბნები. იხრადაც დარჩეს ის განათლება, თუ-კი უსინიდისობა გამეფდება და ოჯახს და ადამიანს პატივი აეყრება... არა, ჩემო ძმაო, მე-კი არ შემიძლიან ჩემ თავს ჩემი სიუმსგავსე—უსინიდისობა ვაპატიო და სხვამ, რაც უნდა, ის მოახდინოს. მე კვლავ გამეცინა. ასე აღელვებული პეტრე ჯერ არ მენახა და სიცილს ვერ ვიჭერდი. პეტრემკი ჩემი სიცილი სხვა ნაირად მიიღო.

— აკი ვთქვი, არა ღირს რომ გითხრა ჩემი დარდი მეთქი, შევცდი და რას იზამ, მითხრა პეტრემ და გაბრაზებული გავარდა სახლიდან.

ი. კახელი

შვენიერებს.

დავაბოლოვოთ ზემოდ ნათქვამი: 1) ქართული ნაწერი არის კარგი მაშინ, როდესაც იგია დაწერილი სწორედ და მრგვლად. სწორედ წერისათვის საჭიროა კალმის ტარის დაჭერა იმ გვარად, რომ მიმართულება მისი იყოს ნიდაყვისაკენ (და არა ბეჭისაკენ, როგორც ევროპიულის წერის დროს).

2) კალმის დაჭერა უხდება შვეულ ხაზებზედ-კი არა, არამედ მწოლარეზედ და ისიც ძლიერ ცოტათი.

3) ყველა ასოების გადაბმა შეუძლებელია; საზოგადოდ ძლიერ ცოტა ასოებს უხერხდება გადაბმა. უფრო კარგი ხელი გამოდის მაშინ, როცა განცალკევებითა ვსწერთ *).

ს. დათეშიძე

## ნეტავი მართლა!

(პასუხად მემამულე იოსებ აბაშიძეს)

„ჩვენი ცხოვრების სარკეში
თვალთ-მაქცობა ჩაისახა!
რა იმედი! რის ნუგეში!
მეცინება: ხა, ხა, ხა, ხა!“

აკაკი.

გაზეთ „ივერიის“ 150 ნომრის გადათვალიერების დროს ერთს ბწკარში უცბად ჩემს სახელსა და გვარს მოვჰკარი თვალი. არ დავფარავ,—მაშინვე ელდა მეცა. ვიფიქრე, თუ რა ამბავია ჩემს თავზე, ვის რად უნდოდა ჩემი ხსენება-მეთქი! სხვა რა ღონე იყო, უნდა კარგად ჩავკვირებოდი ამ ფურცელს. ასეც მოვიქეცი. და რა აღმოჩნდა! „მემამულე“ (?!) იოსებ აბაშიძეს წესი აუგია ჩვენის დიდის ხნის განსვენებულ წერილისათვის: „მოკლე შენიშვნა შორაპნის მაზრაზე,“ რომელიც „ივერიის“ 93 და 94 №№ში იყო მოთავსებული. წერილი ჩვენის კრიტიკანისა შესანიშნავია მით, რომ იგი წარმოადგენს ხუთმეტხლოვან ოქმს. ოქმისა მე ძალიან მეშინია... ყოველ პოლიციელის დანახვაზე შიშის ზარი ამიტანს, საშინელი ჟრუანტელი გამირბენს ხოლმე ტანში. ასეთი შიში სამართლიანიცაა, რადგან ამ ჩვენს დროში ოქმის შედგენას დიდი საბაბიც არ ეჭირვება. მაგრამ რა გაეწყობა, როცა დაგატყდება თავს მეხი და ოქმს შეგიდგენენ, მაშინ ძალა-უნებურად პასუხიც უნდა აგო, მით უმეტეს, როცა უმართებულოდ დატანჯულ-დადაგული ხარ. მადლობა ალლახს, რომ ოქმი კერძო კაცს შეუდგენია ჩვენთვის, თორემ თავის გასამართლებლად ვექილის აყვანაც დაგვჭირდებოდა. მადლობა ღმერთს, რომ ხარჯს მაინც აგვაცილა! არ მივაქცევდით ბ-ნ მემამულე (გამიჯნულია თქვენი მამული?) აბაშიძის წერილს, თუ ამ უკანასკნელს მავნებელი მიმართულება არ ემჩნეოდეს, თუ იგი მართლა აბაშიძის კალამს ეკუთვნოდეს და არა რამდენთამე გუნდს. ეტყობა, ჩვენის წერილის შინაარს ძლიერ გაუბრაზებია „მემამულე“ აბაშიძე და იძულებული გაუხდია, თავის თანამოაზრეთა ძალ-ღონისათვის მიემართნა ხვეწნა-მუდარითა და საერთოდ ოქმი შეედგინათ.

ნეტავი მართლა და,—რაიმე მანქანების ძალით, შეცდომა გამოდგებოდეს ჩვენი აზრი შორაპნის მაზრის ნიადაგის უნაყოფიერობისა და ხალხის სიღარიბის შესახებ! ეს ჩვენ, დარწმუნდით, ათას წილ მეტად გაგვეხარდებოდა, ვიდრე ჩვენს კრიტიკანებს. მაშინ ჩვენ პირველადვე ვაუწყებდით ჩვენს საზოგადოებას ასეთ სასიამოვნო ამბავს, სინამდვილით ავუწერდით ხალხის მდიდრულს მოწყობილობას, ბედნიერ ცხოვრებასა და სხვა. მაგრამ საქმეც ეს არის, რომ სასწაულს ახლა გასავალი აღარა აქვს, და სინამდვილე-კი სიღარიბესა და შევიწროებაზე გვიშვერს თითს. სამწუხარო და სავალალოა ის გარემოება, რომ ჩვენ უზომო თავთ-მოყვარეობა თვალს გვიბავს, გონებას გვიჩლუნგებს. სათაკილო რა არის აქ, ღმერთი თუ გწამთ, რომ ჩვენ ჩვენი სიავ-კარგე სინამდვილით და უმეტ-ნაკლებოდ გადავსცეთ იმათ, ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობას. ვინ იქნება ისეთი უვიცი, რომ ხალხის გაჭირვება და ბედუკუღმართობა სასიამოვნო ამბად ჩასთვალოს! და თუნდაც რომ მოინახებოდენ ასეთი კრული კაცი, ნუთუ ჩვენ იმის ჯიბრზე უნდა დავკრათ ბუკსა და ნაღარას, რომ ჩვენ დიდი ავლა-დიდების პატრონი ვართ, ჩვენი ხალხი ნეტარებაშია, ჩვენს კუთხეს სხვა ვერა ქვეყანა ვერ უდრისო, და სხვა. ეს რა საკადრისია! პირიქით გონიერება მოითხოვს, რომ ჩვენ ჩვენი ნაკლიცა და ღირსებაც უმეტ-ნაკლებოდ გადავსცეთ სხვებს, რომ ჩვენს ნაკლულევანებას მკურნალი აღმოუჩნდეს, წამალი მოენახოს.

მკითხველი, ვგონებთ, თავიდანვე მიხვდებოდა, რომ ჩვენ ჩვენს აზრს შორაპნის მაზრაზე ვერ შევცვლევით. მაგრამ მარტო „რა ბრძანებაა“-ს ძახილით, როგორც ამას ჩვენი კრიტიკანები სჩადიან, რასაკვირველია, ვერვის დავაკმაყოფილებთ. ჩვენ აქ საჭიროდ ვსთვლით წინანდელ ჩვენის წერილის აზრი დავასაბუთოთ. და შემდეგ ჩვენ სიამოვნებით მოვისმენთ მცოდნე და სანდო კაცთა აზრს. იმათ გაარჩიონ და განსაჯონ. ასეთი კაცები, ჩვენდა სასიხარულოდ, შორაპნის მაზრაში საკმაოდ მოიპოვებიან და ნურაფერს უკაცრავად, თუ ჩვენ ახალ კრიტიკანებს მათი განაჩენი ცოტად გააწბილებს.

თ. კიკვაძე

(დასასრული იქნება)

---

*) შეიძება ბევრმა მამხილოს, რომ აქ სხვას ვლაპარაკებ და ჩემს დედანში-კი სულ სხვაა. დედანში, მართალია, მომეპოვება შეცდომანი „ნებსითნი და უნებლიეთნი“, მაგრამ მათი თავიდგან აშორებაც მომავალში ადვილია.

ს. დ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** მკითხველთ ეხსომებათ ის უსიამოვნო ამბავი, რომელიც მოხდა ინგლისის პარლამენტის ქვემო პალატაში. პალატის სპიკერმა გამოაცხადა, რომ ეს უსიამოვნო ამბავი პარლამენტმა უნდა განიხილოსო. ამის გამო უსიამოვნო ამბის დამნაშავენი შეიკრიბნენ მოსალაპარაკებლად, როგორ უნდა მოვიქცეთ ეხლაო. აქ გადასწყვიტეს, რომ დეპუტატმა ლოგონმა, რომელიც თავი და თავი დამნაშავე იყო უსიამოვნო ამბავისა, და დეპუტატმა გეიზ ფიშერმა ბოდიში უნდა მოიხადონ წინაშე პალატისაო. ეს გარდაწყვეტილება ორთავე ჯენტლემენმა იმ დღესვე აასრულეს პალატის სალამოს კრებაზედ. ოპოზიციის ლიდერის ბალფურის თხოვნით, გეიზ ფიშერმა მოახსენა პალატას, რამდენად იყო დამნაშავე ამ საქმეში, და სრულის გულწრფელობით მოიხადა ბოდიში. ფიშერმა ამასთანავე მოახსენა პალატას, ასე მეგონა, ლოგონსა სწადიან შეურაცხყოფა მოგვაყენოს ან მე ან დეპუტატს კარსონსა, წინააღმდეგ შემთხვევაში არაოდეს არ გავბედავდი ხელი მეხლო პატივცემულ ჯენტლმენისთვისაო. შემდეგ ლოგონმაც მოახსენა პალატას, როცა დარბაზი გავიარე და ოპოზიციის სკამებთან მივედი, ფიქრადაც არა მქონია ოპოზიციის რომელსამე წევრის შეურაცხყოფა, დიდად ვსწუხვარ, რომ მიზეზი გავხდი უსიამოვნო ამბავისა და სრულის გულწრფელობით ვიხდი ბოდიშს წინაშე მთელის პალატისაო. ამ მოხსენების შემდეგ ყველა დასის ლიდერებმა გადასწყვიტეს: „ეს ამბავი იმდენად უწესო, ურიგო და სამარცხვინო იყო, რომ, როგორც უნდა ძლიერ გავკიცხოთ დამნაშავენი, მაინც ცოტა იქნება, ამიტომ საუკეთესოდ მიგვაჩნია ეს ამბავი სრულიად დავიწყებას მივცეთო.“ გლადსტონმა სთქვა: სრულიად მეტია ამ ამბის კვლავ გამოძიება, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ აქედგან ახალ უსიამოვნების მეტი არა გამოვა-რაო. შემდეგ ბალფურმა სთქვა, იმედი უნდა ვიქონიოთ და ვეცადნეთ, რომ ეს უსიამოვნო ამბავი, რაც შეიძლება მალე, აღმოიფხვრას ჩვენის ხსოვნიდგანაო. ამ სიტყვებს ბალფურმა ესეც დასძინა: აგერ ორასი წელიწადია, რაც ჩვენი პარლამენტი არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ბევჯელ მომხდარა უთანხმოება და უსიამოვნება, როგორც სხვა-და-სხვა დასებისა, აგრედვე თვით მინისტრებს შორის და, თუ ჩვენ მამა-პაპას შეეძლო მუდამ ღირსეულად დაეცვა სახელი პარლამენტისა, ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ჩამომავლობაც შესძლებს ამასაო.

## წვრილი ამბავი

გავიდა გაზაფხული და შეგირდები მოუთმენლად მოელიან ჩვენში სართველოდ დათხოვნას. მოელიან იმ დროს, როდესაც შეეძლებათ ნავარდობა ნაცნობ-მინდორ-ველებზედ, კორდებზედ და ხილით სავსე ვენახ-ბაღებში. რა ნეტარება, სიხარული, იმედი და სიცოცხლე იხატება ყმაწვილის ამ ლოდინში, ამ ტკბილ უზომო ოცნებაში. ეს ოცნება ხვედრია ყველა მოსწავლე ყმაწვილისა, როგორც ჩვენში აგრეთვე ყველგან. მაგრამ არის ერთი რამ დასავლეთ ევროპაში, და კერძოდ შვეიცარიაში რაც უფრო ძლიერ იზიდავს ყმაწვილის გულ-გონებას, რასაც ნატრობს ყმაწვილი მთელის წლის განმავლობაში. ეს არის ქალაქ გარედ საერთო გასეირნება, დროს გატარება. შვეიცარიაში მით უფრო უძვირფასესი და უტკბესია ეს დღე ყმაწვილებისათვის, რომ იმ დღეს ისინი და მხოლოდ ისინი არიან მთელის კანტონის ხელის-ხელ საგოგმანებელნი, სალერსონი. იმათ შეხვედრის მშობელ-ნათესავთა და მოქალაქეთა თვალი, გული, გონება, თავს დასტრიალებს და გარს ევლება შეშლასავით კანტონის მოწინავე საზოგადოება, პროფესორები, მასწავლებელნი, მამასახლისები და მთელი საზოგადოების წარმომადგენელნი.

წელს 19 ივლისს იყო ეს დღე. წინა დღითვე მშობლებმა, ჩვეულებისამებრ, დაუმზადეს შვილებს მოსრაკული კალბასი, პური და ახალი ტანისამოსი. აგერ რიჟრაჟზედ მთელი ქალაქი ფეხზეა და რაღაც ფაცი-ფუცშია. სკოლის წინ იკრიბებიან ყოველ მხრით კოხტად მორთულ-მოკაზმული ყმაწვილები. ვაჟები კოხტა, მოკლე ხალათებში შუბ-ნაჯახით აღჭურვილნი. ქალები—თეთრ კაბებში ყვავილებით მორთულნი, ხელში ყვავილით სავსე პატარ-პატარა კალათებით. მასწავლებლებმა რიგ-რიგად დააყენეს 4,227 მოწაფე. წინ პატარები და მერე მოზრდილები. პროცესიას წინ მიუძღოდა სამხედრო მუსიკა, რომელსაც უკან მისდევდა ახლო-მახლო საზოგადოებათა მუსიკა, რადგანაც ამ ყმაწვილთა დღესასწაულში მთელი კანტონი იღებს მონაწილეობას. ქუჩები სადაც ყმაწვილებს უნდა გაევლოთ, შემკული იყო ბაირაღებით, ყვავილებით. გზა-და-გზა ფანჯრებიდგან ისროდნენ ყვავილებს და ხმელ ხილს. ყველა დიდი თუ პატარა რაღაც ნეტარებასა გრძნობდა, ყველას სიამოვნების ღიმილი უკრთოდა ტუჩებზედ.

აგერ მივიდნენ დანიშნულ ადგილს. ყმაწვილთა რაზმი გაიშალა და მოედო ფართოდ გაშლილს ველს. დაიწყო გიმნასტიური ვარჯიშობა. ყმაწვილები გატაცებით ხტიან და კუნტრუშობენ. მათი მამები და ნათესავები-კი მაღალ ხეების ჩრდილს ქვეშ ამზადებენ სუფრას თავის მეგობრისა და საყვარელ სტუმრებისათვის. გავარდა ზარბაზანი და ყმაწვილები შემოკრბნენ სუფრის გარშემო. სუფრის თავში შემოსავალ ადგილას (ამ სასადილო ადგილს მოაჯირი აქვს გარშემო), უკანა ფეხებზე ამართული გამოქანდაკებული დათვი დგას, პირში კალბასით, ზედ დროშა ჰკრავს. ყმაწვილები და სხვა პატივცემული სტუმრები დასხდებიან სუფრაზედ. ყველას თავისი პრიბორი აქვს და ზედ უწყვია კალბასი პურით. 5—6 ყმაწვილზედ თითო ბოთლი წყალნარევი ღვინო დგას. პროფესორებისათვის და მასწავლებლებისათვის იგივე კალბასია პურით, ღვინო და თითო ფინჯანი ყავა. სადილი წყნარი და მშვიდია. უკრავს მუსიკა და ყმაწვილების მწყობრი და ტკბილი სიმღერა გაისმის. პროფესორი-პრეზიდენტი სადღესასწაულო კომისიისა და მისი თანაშემწენი თავს დასტრიალებენ და ემსახურებიან ყმაწვილებს. სადილს მერე კვლავ გაიმართება თამაშობა. ოთხ საათზედ შეიკრიბებიან საგიმნასტიკო ადგილას. ეხლა-კი მხოლოდ უფროს ყმაწვილებს შეუძლიათ თამაში და გიმნასტიკურ ხელოვნების გამოჩენა. ეცილებიან ერთმანერთს საჩუქარს. საჩუქრების დარიგების შემდეგ, კანტონის საბჭოს თავმჯდომარე სიტყვას ეტყვის ყმაწვილებს და მამობრიულის ტკბილის ენით აუხსნის მომავალ მოქალაქობრივს დანიშნულებას. ყმაწვილები გულ-დასმით ისმენენ ნათქვამს. საღამოს ხუთ საათზედ კიდევ დანაყრდებიან პურითა და კარაქით. ბოლოს ტკბილეულობით ჩაიკოკლოზინავებენ ყელსა.

საღამოს გაიმართება ომიანობა. ერთი ნაწილი მოწაფეთა გორაკს მოეფინება შეიარაღებული ბამბით გატენილ თოფებით. დანარჩენი-კი ალყას შემოარტყავენ და ნელ-ნელა უახლოვდებიან. ასტყდება ერთი თოფ-ზარბაზნის სროლა, კიჟინი, ხმაურობა. ბოლოს მტრის ბანაკს აიღებენ და კიჟინით დაბრუნდებიან უკან. მერე ისევ რიგზედ დადგებიან და გამოსწევენ შინისაკენ.

ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ გართობა-გასეირნებაშიაც-კი ყველაფერი ზომიერია და წინად მოსაზრებული. ერთსა და იმავე დროს სასიამოვნოც არის ამისთანა სეირნობა და მარგებელიც. აქ პატარაობიდგანვე იწყება წვრთნა მამულის შვილისა, სიამოვნებასთან ერთად, რაც შემდეგ იმასაც და იმის მამულსაც გამოადგება.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო მატრონა ს. ბარნოვისას, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდა ბოგვის სამრევლო სკოლას ხუთი მანეთი და ვასილ ი. ღარიბაშვილს, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლას 27 ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი.

მასწავლებელი გ. კარიბოშვილი

1893 წელს, 17 ივლისი.
ს. ბოგვი.

## დეპეშა

29 ივლისი

**პეტერბურგი.** Нов. Время იუწყება, რომ ხმელთა-შუა ზღვაზედ რუსეთს ახალი ესკადრა ეყოლებაო. როდის გაიგზავნება ახალი ესკადრა, ემ შემდეგში გამოცხადდება.

რუსეთის ვაჭრობა საზღვარ გარეთთან წელს ძლიერ გაცხოველდა. 1893 წლის პირველ ექვს თთვეში რუსეთიდგან გატანილა 428,513,000 მანათის საქონელი, მაშინ როდესაც შარშან, იმავე ხნის განმავლობაში, გატანილა სულ 340,702,000 მანათის საქონელი.

გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის ერთმა ამხანაგობამ მიჰმართა რუსეთის მთავრობას და სთხოვა, ზოგიერთი შეღავათი მოგვეცით იმ გემებისთვის, რომელთაც უნდა იარონ მარსელსა და ვლადივოსტოკს შუაო.

**რომი.** გამოცხადდა მთავრობის განკარგულება შესახებ იმისა, რომ მკურნალებმა გასინჯონ და სადეზინფექციო წამლებით აპკურონ ის საქონელი, რომელიც რუსეთიდგან და რუმინიიდგან მოაქვთ მდინარე დუნაით.

30 ივლისი

**გელსინგფორსი.** დღეს გამოცხადებულია განკარგულება, რომ ყველა საქონელზე და მათ შორის თამბაქოზე, რომელიც გერმანიიდგან ფინლიანდიაში შემოტანილ იქმნება თერთმეტ აგვისტომდე, შემდეგ ბაჟი უნდა გადიხადონ 50%.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტფამოყნის კუპონები . | 152 3/4 | 153 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 241 1/4 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 225 1/4 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194 1/4 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. სად.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ძკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ორშაბათობით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

**ავადმყოფებს მიიღებს:**

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—81)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| თამარ ბატონიშვილი, რომანი გრ. რჩეულოვისა. | „ | 50 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |


## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ერთი (41) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—31 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.), მესამე განყოფილებაში—4 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—4 (10 და 11 წლ. ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2.) 41 ვაკანსიისაგან 37 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში—ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს ხარჯზე და ერთი (1) ნახევარს ხარჯზე.

3.) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანათი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4.) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისგან, გ) მოწმობა ტფილისის სადავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის-რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანოს პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდან.

8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხრჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26, 27 და 28 რიცხვებს მოხდება მისაღები ეკზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან ეგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{93}/_{94}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს (4—21).


## გამოსადეგი ცნობანი

**პირველი კერძო საავადმყოფო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

**ძღძლო თუთაევის**

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეძვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეძვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—34) ხლ. თუთაევი

გმოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**ახალი წიგნი**

**ვალერიან გუნიასი**

**დრამები და კომედიები**

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Іюля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე